

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
კატალოგი*

ქ. თბილისი, 2018წ.

ინფორმაცია

სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე.

ცენტრის მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

ცენტრში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან. ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერული და პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. სასწავლებელში არსებობს მუდმივად ინტერნეტში ჩართული, პროექტორით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები და სასწავლო აუდიტორიები. პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები პროფესიული პროგრამების შესაბამის კომპანიებთან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.

www.profgldani.ge

nodarkharazishvili@profgldani.ge

profgldaniedu@gmail.com

ტელ: +995 570503001, + 995 32 2140314

ხელმძღვანელი: დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხარაზიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა, მისია და მიზნები

საზოგადოებრივი კოლეჯის ხედვაა, 2024 წლისთვის კოლეჯი იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და მიმართულებების შესაბამისად დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

საზოგადოებრივი კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები:

1. ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
2. პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება;
3. პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
4. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
5. სწავლების ინოვაციური მეთოდების აპრობირება და სასწავლო პროცესში მათი ჩართვა საგანმანათლებლო საქმიანობის უახლესი შედეგების დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის;
6. მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
7. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამების მორგება თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გათვალისწინება;
8. სასწავლო და სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება და გააქტიურება, დაინტერესებული პირების, სახელმწიფო და კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების კოლეჯის მართვის და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მიზნით.

ამ მიზნების მისაღწევად, კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ახორციელებს ტრენინგ-კურსებსა და მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;

- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

(საგნობრივი)

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით				
		I	II	III	IV	V
1.	მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი)ოპერატორი	-	-	60	-	-
2.	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	-	30	-	-	-
3.	ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი	-	-	60	-	-
4.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	-	-	60	-	-
5.	ძრავის შემკეთებელი	-	-	60	-	-
6.	ბუღალტერი	-	-	30	-	-
7.	ოფისის მენეჯერი(მდივან-რეფერენტი)	-	-	60	-	-
8.	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	-	-	-	60	-
9.	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	-	-	-	90	-
10	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	-	-	60	-	-
11	ტოპოგრაფი	-	-	60	-	-

1. მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: პროგრამა მოიცავს **60** კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 30 კრედიტი - სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია **750** საათი,
- 30 კრედიტი - პრაქტიკული კომპონენტისთვის კი **750** საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნის - ასაკობრივი ზღვარი - 18 წელი - დაკმაყოფილება

პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური კადრი მძიმე სამშენებლო ტექნიკასთან სამუშაოდ. კერძოდ, შეასწავლოს დაინტერესებულ სტუდენტს ავტოგრეიდერის, სატვირთველის და ჰიდრავლიკური ექსკავატორის მართვა, მუშაობის სპეციფიკა და აღნიშნული მძიმე ტექნიკის უსაფრთხო გამოყენება. პროგრამა განსაზღვრავს სწავლების შინაარსს და უზრუნველყოფს პროფესიისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას.

სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაგნობიერება</p>	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს, <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოების წესები სამშენებლო მოედანზე; სანიველირე სარეზზე მითითებული ინფორმაციის კითხვა; სამშენებლო ნახაზების კითხვა; • გრუნტის თვისებები; შიგაწვისა და დიზელის ძრავების მუშაობის ზოგადი პრინციპები, ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის სტრუქტურული აგებულების ზოგადი ცოდნა; • საწვავი და საცხები მასალები; ავტოგრეიდერის; სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის ტექნიკური მახასიათებლები, აღნიშნული ტექნიკის უსაფრთხოდ მართვა, შემოწმება და მომსახურება; • გეოდეზიური სამუშაოების ჩატარება, გრუნტის, ქანის ტიპები, კლასიფიკაცია თვისებები და მოსამზადებელი მიწის სამუშაოების შესრულების ტექნოლოგია; • ჰიდრავლიკური ექსკავატორის ამწედ გამოყენება; ჯამბარის, ფოლადის მოქნილი გვარლისა და ჯაჭვის უსაფრთხო გამოყენება ჰიდრავლიკური ექსკავატორით ტვირთის აწევსას, ჯამბარის, ფოლადის მოქნილი გვარლისა და ჯაჭვის დათვალიერება და წუნდება; • სატრანსპორტო საშუალებებზე ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის დატვირთვის დამაგრებისა და გადმოტვირთვის ოპერაციები; • მძიმე ტექნიკით მომსახურებულ ობიექტზე ან ტერიტორიაზე სხვა პერსონალთან ურთიერთობის, პირობითი, ვიზუალური და ხმოვანი სიგნალები და ჟესტები;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა. • სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები: სანიველირე სარეზზე მითითებული ინფორმაციის კითხვა; • ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის უსაფრთხო მართვა, შემოწმება და მომსახურება; • ავტოგრეიდერით, სატვირთველითა და ჰიდრავლიკური ექსკავატორით მიწის სამუშაოების შესრულება; ჰიდრავლიკური ექსკავატორის ამწედ გამოყენება; • ჯამბარის, ფოლადის მოქნილი გვარლისა და ჯაჭვის უსაფრთხო გამოყენება ჰიდრავლიკური ექსკავატორით ტვირთის აწევსას, ჯამბარის, ფოლადის მოქნილი გვარლისა და ჯაჭვის დათვალიერება და წუნდება; • სატრანსპორტო საშუალებებზე ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის დატვირთვა, დამაგრება და გადმოტვირთვა; • მძიმე ტექნიკით მომსახურებულ ობიექტზე ან ტერიტორიაზე სხვა პერსონალთან ურთიერთობის, პირობითი, ვიზუალური და ხმოვანი სიგნალებისა და ჟესტების აღქმა-გათვალისწინება,
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელ უნარებს, • განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად სიტუაციების სწრაფად შეფასება და გაანალიზება, გადაწყვეტილებების მიღება სამუშაოების უსაფრთხოდ და ხარისხიანად შესრულება.

კომუნიკაციის უნარი	<p>პროფესულ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.</p> <ul style="list-style-type: none"> • ეფექტიანად იყენებს პროფესიულსაქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, • აქვს ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი, • შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიული საქმიანობისთვის.
სწავლის უნარი	<p>იცის: სამშენებლო მათემატიკა,</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს სამუშაოს მოძიების უნარი • პროფესიული წინსვლისა და სამუშაოს უკეთ შესრულების მიზნით, შეუძლია სასწავლო პროცესის უკეთ წარმართისთვის საკუთარი სწავლის საჭიროებების დადგენა და მომავალ სწავლა-განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება
ღირებულებები	<p>აქვს პროფესიული ღირებულებები, იცავს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესებს, პატივს სცემს კოლეგებს და აქვს საქმიანობისადმი პასუხისმგებლობის გრძობა.</p>

2. ავტომობილის დიაგნოსტიკოსი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ავტომობილის დიაგნოსტიკოსი

პროფესიული განათლების საფეხური: მეორე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 4 თვე, საათების რაოდენობა 750)

- 12 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია 300 საათი,
- 18 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის კი 450 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ავტომობილის დიაგნოსტიკოსი, რომელსაც შეეძლება ავტომობილის სარემონტო საქმიანობა, საავტომობილო ტექნიკის დაზიანების შემოწმება, დეტალების შეცვლა და სამაგრი სამუშაოების შესრულება, ავტომობილის მართვის შესწავლა. აგრეგატების და ელექტრო მოწყობილობების აწყობა, კვანძებისა და საშუალო სირთულის მოწყობილობების, ტექნიკური მომსახურების, რემონტის, აწყობის, რეგულირებისა და გამოცდის შესრულება.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომობილის აგებულება, მისი მექანიზმები და სისტემები. • გარკვეული კვანძებისა და დეტალების შეკეთება; • დეტალების დახარისხებისა და წუნდების პროცესები; • იარაღებისა და დამხმარე მოწყობილობების შერჩევა და გამოყენება. • გამოყენებული სათადარიგო დეტალების შემოწმება და მათი შეცვლა. • შრომის უსაფრთხოების წესები. • კვანძის აწყობა ტექნიკური პირობების სრული დაცვით.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>გარკვეული დამოუკიდებლობით შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომობილის დაშლილი აგრეგატებისა და მექანიზმების სათანადო კონტროლი, მათი ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა, მომზადება და დამოუკიდებლად აწყობა ტექნოლოგიური რუკების და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად; • ახინშული სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების გამოყენება; უწყისვრობის გამოვლინება ვიზუალური დათვალიერებით.
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>ხელმძღვანელის დახმარებით შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომეშვეთებელი ტექნიკის სათანადო ინფორმაციული ბაზის გამოყენება, სამუშაოს შესრულების ტექნიკური უზრუნველყოფა და ნორმატიული პარამეტრების მიხედვით კორექტირება. <p>შეუძლია ხელმძღვანელი მითითების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნიკური მომსახურების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ღონისძიებების განხორციელება, შეფერხებებისა და წინაღობების მიზეზების ანალიზი და სათანადო პროფილაქტიკური სამუშაოების წარმართვა
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომობილის ტექნიკური მომსახურების მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია

	<ul style="list-style-type: none"> საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ავტომობილის დიაგნოსტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით; მუშაობა როგორც მცირე, ისე მრავალრიცხოვან და არაერთგვაროვან გუნდში. ელემენტარული კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე
სწავლის უნარი	<p>შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> გაეცნოს სიახლეებს ავტომობილის ტექნიკური მომსახურების სფეროში, აითვისოს ახალი ტექნოლოგიები.
ღირებულებები	<p>აგნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> პასუხისმგებლობას, რომელსაც აკისრებს ავტომობილის დიაგნოსტიკოსის პროფესია. უწესივრობის აღმოფხვრისას ყურადღებით ასრულებს დავალებებს.

3. ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 30 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია 750 საათი,
- 30 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის კი 750 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე,

პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

პროფესიული პროგრამის მიზანია ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს მისცეს ისეთი ცოდნა, რომ განახორციელოს შემდეგი საქმიანობა: განსაზღვროს ავტომობილის ელექტრომოწყობილობის ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები და შეძლოს დაადგინოს მისი ცვლილების მიზეზები; გააცნობიეროს ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები და დებულებები და ავტომობილის ელექტრომოწყობილობის ცალკეული სისტემებისა და მექანიზმების მუშაობის პრინციპთა თავისებურებები, მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკები, ტექნოლოგიური პირობების მოთხოვნები და გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები; შეძლოს გამოიყენოს სათადარიგო დეტალების შემოწმების მეთოდები და მათი შეცვლის რესურსები; გააცნობიეროს ტექნიკური მომსახურების რეგლამენტებული სამუშაოების შესრულების პერიოდულობა და შრომის უსაფრთხოების წესები.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ავტომობილის ელექტრომოწყობილობის ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ცვლილების მიზეზები; შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები და დებულებები; ავტომობილის ელექტრომოწყობილობის ცალკეული სისტემებისა და მექანიზმების მუშაობის პრინციპთა თავისებურებები; მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკები, ტექნოლოგიური პირობების მოთხოვნები და გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები; გამოყენებული სათადარიგო დეტალების შემოწმების მეთოდები და მათი შეცვლის რესურსები; ტექნიკური მომსახურების რეგლამენტებული სამუშაოების შესრულების პერიოდულობა; შრომის უსაფრთხოების წესები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია :</p> <ul style="list-style-type: none"> ავტომობილის ელექტრომოწყობილობის დაშლილი სისტემებისა და მექანიზმების სათანადო კონტროლი, მათი ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა, მომზადება და დამოუკიდებლად აწყობა ტექნოლოგიური რუკებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების ოპტიმალური გამოყენება.
დასვენის გაცემების უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> სამუშაოს შესრულების ტექნიკური უზრუნველყოფა და ნორმატიული პარამეტრების მიხედვით კორექტირება.
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია :</p> <ul style="list-style-type: none"> ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებზე ინფორმაციის მიღება და მიწოდება; საქმიანობისას იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება.
სწავლის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> საკუთარი სწავლის საჭიროებების დადგენა და ახალი ცოდნის მიღება. მუდმივად ეცნობა სიახლეებს და წერგავს მათ პროფესიულ საქმიანობაში.
ღირებულებები	<p>აგნობიერებს:</p>

	<ul style="list-style-type: none"> ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსისა და საქმიანობის მნიშვნელობას; იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.
--	--

4. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია
პროგრამის მოცულობა: პროგრამა მოიცავს **60** კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 30 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია **750** საათი,
- 30 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის **750** საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელმაც იცის მოდელის მიხედვით თარგის შექმნის და შერჩევის წესები, მსუბუქი ტანსაცმლის კერვის ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად მსუბუქი ნაწარმის თარგის შედგენა, გამოჭრა და შეკერვა ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად, შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი; უსაფრთხოების წესების დაცვა, რომელსაც შეუძლია დასაქმება მოდის დიზაინის კომპანიებში, მცირე და მსხვილი სამკერვალო საწარმოებში, ფაბრიკებში, მოდის ატელიეებში, შრომის ბაზრის ნაწილი თვით დასაქმებულთა სეგმენტზე მოდის: ინდივიდუალური კერვა, ინდივიდუალური მეწარმეობა, კერძო მცირე ბიზნესი.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცის და აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> სამკერვალო სპეციალობის საბაზისო პრინციპებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს, კერძოდ, იცნობს ტანსაცმლის დეტალების ძაფური შეერთების სხვადასხვა მეთოდს, ტანსაცმლის დეტალების შესაერთებლად საჭირო საშუალებებს, იცის ძაფური ნაკერები, მათი სახეები და აგებულება. დამუშავების შერჩეული მეთოდით ცალკეული კვანძების ნიმუშების მომზადება, იცის კვანძის თბურდანამვითი დამუშავების ტექნიკა. ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის ხელოსნის პროფესიული მიზნები და ამოცანები, ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის შესრულების თავისებურებები; ადამიანის ფიგურის ზომითი მახასიათებლები და ფიგურის ზომებიდან ტანსაცმელზე გადასვლის პრინციპები, ტანსაცმლის ზომები და ფორმა, სილუეტური, კონსტრუქციული, დეკორატიული ხაზების დახასიათება, ტანსაცმლის ზედაპირის დანაწევრების სქემები, ფორმის მთლიანობის უზრუნველყოფელი ტექნიკური საშუალებები, იცის ბაზისური ფუძის თარგის შერჩევა-გამოყენება, დაზუსტება და მოდელური განსაკუთრებულობების დატანა, მასალაში შესრულება, ტექნიკური დამუშავება. აცნობიერებს გართულებული ტექნიკური ამოცანის შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. საჭირო მანქანა-დანადგარების გამოყენება, მათი მოვლა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> მკერავის პროფესიისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრს, კერძოდ, შეუძლია: ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ნაწარმის ხელისა და მანქანური გვირისტების შესრულება, მზა ტანსაცმლის დაზიანებული ადგილების ხელით რესტავრაცია და ა.შ. სამკერვალო ნაწარმის სხვადასხვა ასორტიმენტისათვის საჭირო ცალკეული კვანძებისა და დეტალების ტექნიკურად შესრულება, როგორცაა ჯიბე, სახელო, მანუეტი, საყელო და ა.შ.; ინდუსტრიული სამკერვალო ნაწარმის დამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობების (უნივერსალური, სპეციალური, ავტომატური და ნახევრადავტომატური საკერავი მანქანები, თბურდანამვითი დამუშავების მოწყობილობები, მცირე მექანიზაციის საშუალებები) გამოყენება, დარეგულირება, თბურდანამვითი სამუშაოების შესრულება, უსაფრთხოების წესების დაცვა. <p>ასევე შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკაში გამოიყენოს კერვის სპეციფიკური თეორიული ცოდნისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, კერძოდ, შეარჩიოს მოდელის მიხედვით ბაზისური თარგი, ან მოდელირებული თარგის მიხედვით მასალაში შესრულებისათვის საჭირო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით დამოუკიდებლად შეასრულოს ნაწარმი (გამოჭრა-კერვა) და მიიყვანოს დასრულებულ სახემდე ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად.
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>სათანადოდ იყენებს:</p> <ul style="list-style-type: none"> სპეციალურ ლიტერატურას და ინფორმაციის სხვა წყაროებს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად, აფასებს და აანალიზებს სხვადასხვა მეთოდს; <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> საწარმოო მანქანების დამოუკიდებლად მართვა, ტექნიკური ნახაზის მიხედვით შესრულებულ სამკერვალო კვანძებში დარღვევის აღმოფხვრა და დამოუკიდებლად პრობლემის მოგვარება.

	<ul style="list-style-type: none"> მასალაში შესრულების პროცესში წარმოქმნილი ტექნოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა, დეფექტებისა და შეცდომების წარმოშობის მიზეზების დადგენა, გამოსწორება, სწორი გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება
კომუნიკაციის უნარი	<p>მიზანმიმართულად იყენებს :</p> <ul style="list-style-type: none"> საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული დაოსტატებისათვის, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც პროფესიულ, ასევე განსხვავებულ სიტუაციაში, ფლობს პროფესიულ ტერმინოლოგიას უცხო ენაზე და პრაქტიკულად იყენებს უცხო ენას ახალი ინფორმაციის მოძიების, ამ ინფორმაციის სწორად გააზრების პროცესში
სწავლის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> დამოუკიდებლად აითვისოს ზოგიერთ ტექნიკური პროცედურა და ამ გამოცდილებაზე, მიღებულ ცოდნასა და კვალიფიკაციაზე დაყრდნობით, სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლა, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების თანმიმდევრულად ათვისება, ტექნიკური უნარ-ჩვევების გამოიმუშავება
ღირებულებები	<p>იცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> საზოგადოებასთან და კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, შეუძლია პროფესიული პრობლემების კორექტულად გადაჭრა, შრომის ეთიკური ნორმების დაცვა.

5. ძრავის შემკეთებელი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 30 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის - 750 საათი,
- 30 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის -750 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

პროფესიული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. მისცეს შესაძლებლობა გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები, განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი, ასევე, განუვითაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, რათა ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. განსხვავებულ სიტუაციებში იმოქმედოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომობილის შიგაწვის ძრავის აგებულება და შეკეთების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები, მათი თანმიმდევრობა. • ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები. მათი თანმიმდევრობა. კერძოდ, იცნობს შიგა წვის ძრავებს, მათ კლასიფიკაციას/კარბურატორიანი, დიზელის, გაზბალონიანი/ძრავის მექანიზმების, კვების სისტემისა და დამხმარების ტემების მოწყობილობას, დანიშნულებას და მუშაობის პრინციპს; • ავტომობილიდან ძრავისა და ძალოვანი აგრეგატები სმოსნის პროცესს, მისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებს. • ძრავისა და ძალოვანი აგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები და მისი ცვლილებების მიზეზები. • მათი შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები, ძრავის სისტემების და ძალოვანი აგრეგატების მუშაობის პრინციპების თავისებურებები, მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკა, ტექნიკური პირობების მოთხოვნები, გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები სათანადო დეტალების შემოწმების მეთოდები, შრომის უსაფრთხოების წესები და ორგანიზაცია.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომობილიდან ძრავის სისტემებისა და ძალოვანი აგრეგატების მოხსნის სამუშაოების შესრულება სათანადო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენებით, ცალკეული აგრეგატების დაშლა კვანძებად და დეტალებად შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით ძრავისა და ძალოვანი აგრეგატების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, კვანძებისა და დეტალების ვარგისიანობის დამოუკიდებლად შეფასება, კომპლექტაცია, შეკეთება, აწყობა, გამოცდა, გასახმარისება, ადგილზე მიყენება ტექნოლოგიური რუკებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად. • სამუშაო ადგილის ორგანიზაცია უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების გათვალისწინებით
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძრავისა და ძალოვანი აგრეგატების სარემონტო სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად

	<p>ათვისებული მეთოდებისა და ხერხების გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> განსხვავებული კონსტრუქციის მექანიზმის შესაკეთებლად სანდო ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და შესაბამისი მეთოდის გამოყენების შესახებ დასკვნის გაკეთება
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> არასტანდარტულ სიტუაციაში, მრავის გამართულობაზე და მის რემონტზე ინფორმაციის მიღება და მიწოდება, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ ინფორმაციის მოძიების მიზნით
სწავლის უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> სისტემატიურად გაიღრმავოს ცოდნა სიახლეების შესახებ მრავლების სისტემებში. შეისწავლოს სხვადასხვა მარკის ავტომობილების მრავლების მოდიფიკაციები და მექანიზმების კონსტრუქციები. გამოცდილი სპეციალისტებისგან სწავლა დაკვირვებით და მათი გამოცდილების გაზიარებით. დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პროფესიული განვითარების მიმართულებები
ღირებულებები	<p>აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას დაპასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერი დავალების შესრულებას. კოლეგებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობისას იცავს ეთიკის ნორმებს. განსხვავებულ სიტუაციებში ყურადღებით ეკიდება შესასრულებელი სამუშაოს ყველა დეტალს. და იცავს შრომისა და გარემოსუსაფრთხოებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს

6. ბუღალტერი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მონაგარიშე

პროგრამის მოცულობა: პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 4 თვე, საათების რაოდენობა 750)

- 12 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვის განსაზღვრულია 300 საათი,
- 18 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის კი 450 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

პროფესიული პროგრამის მიზანია კვალიფიციური ბუღალტერ-მონაგარიშის მომზადება, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

- ფინანსური ანგარიშების წარმოება და მის საფუძველზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და გადახდისუნარიანობის გაანგარიშების გაცნობიერება.
- ბუღალტერ-მონაგარიშის საქმიანობის დაგეგმვა, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია
- საგადასახადო აღრიცხვა, საგადასახადო დეკლარაციების შედგენა-წარდგენა
- ფინანსური ანგარიშების შედგენა

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის, საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპებისა და პროცესების, ზიზნისის სამართლისა და ეკონომიკის საფუძველების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> დათვლა, აღწერა, გაზომვა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულება; პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენა; პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრეფისითი უწყისების შედგენა; ბუღალტრული გატარებამინიშნებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში; ტიპური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში; დანერგვილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანა, ოპერაციების კორექტირება; საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადება

დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცალკეულ საბუღალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატის მიხედვით.
კომუნიკაციის უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება. • მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა; • ამიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/დაპასუხი სააღრიცხვო ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე. • უცხოურ ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი.
სწავლის უნარი	<p>შეუძლია :</p> <ul style="list-style-type: none"> • საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
ღირებულებები	<p>იცნობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს. არის პუნქტუალური, მოწესრიგებული, კეთლისინდისიერი.

7. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე, საათების რაოდენობა 1500)

- 31 კრედიტი-სასწავლო კომპონენტისთვისაა განსაზღვრულია -775 საათი,
- 29 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტისთვის - 725 საათი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება

პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ოფისის მენეჯერისათვის შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების მქონე პირი, რომელსაც ექნება ეფექტური კომუნიკაციის, საქმისწარმოებისა და საქმიანი მიმოწერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაო ადგილის მოწყობის წესები; • საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; • ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები; • საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები; • დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; • ოფიციალური დოკუმენტების შედგენა-გაფორმების (პირადი, სამსახურებრივი, საგანმკარგულებლო, საადმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების) და მასთან მუშაობის წესები; • საარქივო საქმეთა ფორმირების წესები; • საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; • სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობის წესები; • ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები; • ტექსტის რედაქტირების საფუძვლები; • პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის წესები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირადი დოკუმენტების მომზადება; • სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირება, რეგისტრაცია და ოპერატიულად შენახვა; • საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების პროექტების მომზადება დამოუკიდებლად;

	<ul style="list-style-type: none"> ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობა; ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა; მარტივი მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული დახარისხება და ფილტრაცია; დოკუმენტბრუნვის ორგანიზება; უდოკუმენტო მომსახურების ორგანიზაცია; საოფისე მომსახურების (მივლინების, მუშაკის სამსახურში მიღების, სხდომების, საარქივო და სხვა დავალებათა) ორგანიზება; საარქივო მომსახურება და საქმეთა ფორმირება არქივისათვის; ლონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზ
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ინფორმაციის დაზუსტება და გადამუშავება; აქვს საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების ანალიზის უნარი; შეუძლია მონაცემების დამუშავების პროცესში უზუსტობების დადგენა და პრობლემის მოგვარება.
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ინტერპერსონალური კომუნიკაცია - სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა, ინფორმაციის გამოთხოვა, დაზუსტება და სხვა; ინტერკულტურული კომუნიკაცია; სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამაში (MS Windows, MS Word, MS Excell, Power Point, Internet) მუშაობა მომხმარებლის დონეზე; გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე; უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე B1 დონეზე.
სწავლის უნარი	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> პროფესიული საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება, პროფესიული განვითარებისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> იცავს კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ ყველა წესსა და პროცედურას; არის კომუნიკაბელური, პუნქტუალური და მოწესრიგებული; პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობებს; აქვს კორპორატიული კულტურა.

8. მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული განათლების საფეხური: IV საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მცირე ბიზნესისმწარმოებლისმეთხესაფეხურის პროფესიულიკვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა:60 კრედიტი, სულ 1500 სთ. მ.შ.

- 30 კრედიტი-პრაქტიკის კომპონენტისთვის განკუთვნილია 750 საათი
- 30 კრედიტი-თეორიული კომპონენტისთვის განკუთვნილია-750 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

- პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა დაპროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება-სრულიზოგადიგანათლება

პროფესიული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შრომის ბაზრის შესაბამისი მცირე ბიზნესის მწარმოებლის კვალიფიკაციის მფლობელის შესაბამისი კომპეტენციები, რომელიც მისცემს შესაძლებლობას დასაქმდეს როგორც მცირე ბიზნესით ასევე გამოიყენოს თვითდასაქმების შესაძლებლობები.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი;კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები: შესავალი კურსი; საოფისე პროგრამები; ინტერნეტის გამოყენება; ელექტრონული ფოსტის გამოყენება; ბიზნესის საფუძვლები: ბიზნეს გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; მცირე ბიზნესის დაგეგმვა და სამეწარმეო გარემო; ბიზნესის შეფასება; მცირე ბიზნესის საქონელწარმოების გენეზისი; დაფინანსებები, ბიუჯეტი, ფინანსურიმენეჯმენტი;საქმიანი ურთიერთობების კულტურის ზოგადი საკითხები მცირე ბიზნესში;ორგანიზაციული კულტურა; • მცირე ბიზნესის საწარმოს დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია; კარიერის მენეჯმენტი, საშტატო გადაადგილებები; ჯგუფთაშორის ურთიერთობები დაკონფლიქტების მოგვარება; ორგანიზაციის განვითარების გზები; ბიზნეს-კომუნიკაციების საფუძვლები მცირე ბიზნესში: კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება; კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაბელობა და კონფლიქტების მართვა; გადაწყვეტილებების მიღება კარიერის დაგეგმვის და მისი განვითარების დროს; იმ სამუშაოს დადგენა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალური და
------------------------------	---

	<p>პროფესიული უნარ-ჩვევების მაქსიმალურ რეალიზაციასთან.; ინგლისურის საწყისი კურსის პროგრამები. აცნობიერებს:მიღებული თეორიული საბაზო ცოდნისა და მისი ეფექტური გამოყენების მნიშვნელობას მცირე ბიზნესის ადმინისტრირების პროცესის შესწავლისა დაწარმართვისათვის</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>აქვს უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> შეასრულოს მარტივი მათემატიკური გაანგარიშებები. განსაზღვროს და ააგოს მცირე ბიზნესისთვის დამახასიათებელი ფუნქციონალური დამოკიდებულებები. გაანალიზოს და გამოიყენოს შედეგები დანიშნულებისამებრ; გამოიყენოს ბიზნესის საფუძვლებისა და მცირე ბიზნესის წარმოების პრინციპებისცოდნა სამუშაოების დასაგეგმად;დაგეგმოს და განავითაროს საქმიანი ურთიერთობები მცირე მოცულობისსაწარმო პროცესების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე; ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას. განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაციები პარტნიორებთან, კოლეგებთანდა კონკურენტებთან; დაგეგმოს მცირე ბიზნესის საწარმო პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსებისა და პერსონალური კარიერა და იზრუნოს განვითარებაზე; შექმნას ჩატარებული და სამომავლო სამუშაოების მონაცემთა ბაზა:გამოიყენოს რელევანტური ბაზების მონაცემები და იზრუნოს ინოვაციურიმეთოდების ადაპტაციასა და დანერგვაზე; უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და დაცვის.
